ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს

საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ივლისის 10 № 15 ცფილისი

34(05)
1-29.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

139. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

1548

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

139. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის მაისის 31-ის დადგენილებით დამტკიცებული 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების (სსრკ-ის ც. ა. კ-ის „იზვესტია" 1934 წ. № 126) და ა/კსფსრ-ში 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის შესახებ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ივნისის 8-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა" 1934 წ. № 133) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებისათვის.

კ ა რ ი I.

ზოგადი დებულებანი

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება:

ა) კოლექტიური მეურნეობა (სასოფლო-სამეურნეო კომუნა, სასოფლო-სამეურნეო არტელი და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კოლმეურნეობის წევრის მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილი;

გ) ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობა.

2. სარეწაო კოოპერაციის კავშირის შედგენილობაში შემავალი შერეული სარეწაო სასოფლო-სამეურნეო არტელი (სარეწაო კოლექტიური მეურნეობა) დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ყველა თავისი შემოსავლის მიხედვით, უკეთუ სოფლის მეურნეობა ამ არტელში განსაზოგადოებულია არა ნაკლებ, ვიდრე უწყებული რაიონის სასოფლო-სამეურნეო კოლმეურნეობებში.

მეთევზეობის კოლმეურნეობები, რომლებშიაც განსაზოგადოებულია მათი წევრების სოფლის მეურნეობაც, იბეგრებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ყველა თავისი შემოსავლის მიხედვით, გარდა მეთევზეობის შემოსავლისა, რომელიც ერთიანი სათევზაო გამოსაღებით იბეგრება.

3. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდებიან ზემო-სვანეთის და ხევსურეთის და თიანეთის რაიონის სოფელ ხაშალისა და ბაჩალის კოლმეურნეობანი და ერთპიროვნული ბრიგადითი მეურნეობანი.

4. საგადასახადო წელიწადი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის ითვლება 1934 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე ამ რიცხვითურთ.

ᲗᲐᲠᲘ II.

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲑᲔᲡᲒᲕᲐ

ა. კოლმეურნეობათა გადასახადის გამოანგარიშების წესი

5. გადასახადი გამოიანგარიშება თვითეული კოლმეურნეობისათვის ცალკე:

ა) 1933 წლის საშემოდგომო და 1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმით მისთვის დაწესებულ საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობის მიხედვით;

ბ) სათიბის და მრავალწლიანი ნარგავის (ბაღი, ვენახი და სხვ.) ფაქტიური ფართობის მიხედვით;

გ) არასამიწათმოქმედო შემოსავლის მიხედვით.

საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ფართობი, რაც დათესილია დაწესებული გეგმის ზედმეტად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება.

6. კოლმეურნეობათა გადასახადის გამოსაანგარიშებლად დაწესებულია გადასახადის შემდეგი განაკვეთები მანეთობით ერთ ჰექტარ ნათესსა და ნარგავზე (ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებში):

[იხილე ცხრილი, გვ. 326—329].

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საშუალო განაკვეთების მიხედვით აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ გადასახადის საშუალო განაკვეთებს ერთ ჰექტარზე ამ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შედგენილობაში შემავალი რაიონებისათვის.

8. კოლმეურნეობის არასამიწათმოქმედო შემოსავლის გადასახადი გამოიანგარიშება საერთო შემოსავლის მიხედვით, რაც მიღებული იყო 1933 წელს, ყველა საწარმოო ხარჯის გამოკლებით. ამ შემოსავლის გადასახადი გადახდევინებულ იქნეს შემდეგი განაკვეთების მიხედვით: კომუნასა და არტელს გადახდება — 3,5 კაპიკი და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ ამხანაგობას—5 კაპიკი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

შენიშვნა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კოლმეურნეობაში არ დაიბეგრება მეთევზეობის ის შემოსავალი, რაც იბეგრება ერთიანი სათევზაო გამოსაღებით.

9. კოლექტიური მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, არავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება, გარდა: ა) ბრუნვის გადასახადისა იმ საწარმოს და სარეწაოსათვის, რომელიც დაბეგრილ უნდა იქნეს ბრუნვის გადასახადის კანონის თანახმად; ბ) წყლის გამოსაღებისა სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონებში.

ბ. კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები.

კოლმეურნეობათა შეღავათები მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით.

10. რათა ხელი შეეწყოს მეცხოველეობის და მერძეული მეურნეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებას, კოლმეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ყველა სახის ოთხფეხი საქონელი;

ბ) სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან მეფრინველეობა, შინაური კურდღლის მოშენება, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და თუთის ხის ხრალის შემოსავალი;

გ) იმ კოლმეურნეობებში, სადაც სასაქონლო ფერმებია, დაბეგვრისაგან განთავისუფლდება საკვები ბალახის მთელი ნათესი ფართობი, რომლის მოსავალს კოლმეურნეობა სასაქონლო ფერმას აძლევს; დაბეგვრისაგან განთავისუფლდება აგრეთვე სასაქონლო ფერმის არასამიწათმოქმედო საწარმოს შემოსავალი;

დ) სათიბი ამოძირკულ მიწაზე განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ორი წლის განმავლობაში ამოძირკვის შემდეგ.

[6 მუხლისთვის (გვ. 324)].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტ. რესპუბლიკები, ავტ. ოლქი და რაიონები	მარცვლ. და პირუტყვის. საკვებიკულტ ფესვნ. და სათესი ბალახი		კარტოფილი		მზისუმზირა		თამბაქო	
	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო ზრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთ. ზრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწის საერთ. ზრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო. ზრომით დამმუშ. ამხ.
1 აბაშის	3—00	4—30	ყველგან 3 მანეთი და 25 კაპ.	ყველგან 4 მანეთი და 60 კაპ.	ყველგან 2 მანეთი	ყველგან 2 მანეთი და 80 კაპ.	ყველგან 12 მანეთი და 50 კაპ,	ყველგან 17 მანეთი და 50 კაპ.
2 ადიგენის	2—40	3—40						
3 ამბროლაურის	2—30	3—30						
4 ასპინძის	2—40	3—40						
5 აღბულახ-მანგლისის	2—50	3—50						
6 ახალქალაქის	2—70	3—80						
7 ახალციხის	2—40	3—40						
8 ბაღდადის	2—40	3—40						
9 ბაშკიჩეთის	2—00	2—80						
10 ბოგდანოვკის	2—20	3—00						
11 ბორჩალოს	3—50	4—90						
12 ბორჯომის	2—60	3—60						
13 გორის	2—70	3—80						
14 გურჯაანის	2—60	3—70						
15 დუშეთის	2—20	3—00						
16 ვანის	2—90	4—00						
17 ზემო-სვანეთის	—	—						
18 ზესტაფონის	2—20	3—00						
19 ზუგდიდის	2—60	3—70						
20 თელავის	2—30	3—30						
21 თიანეთის	2—30	3—20						
22 კასპის	2—60	3—60						
23 ლაგოდეხის	3—20	4—50						
24 ლანჩხუთის	2—00	2—80						
25 ლუქსემბურგის	3—20	4—50						
26 მარტვილის	2—90	4—00						
27 ოზურგეთის	2—00	2—80						
28 ონის	2—30	3—30						
29 საგარეჯოს	2—80	3—90						

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნეული		ბაღჩა		სათიბი და სასილოსო ნათესები		ბაღები და სახმილოები		ვენახები		ბამბა	
კომუნა და არტელი	მიწის საერთო შრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწის საერთო შრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწის საერთო შრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწის საერთო შრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწის საერთო შრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწის საერთო შრომით დამმუშ. ამხ.
11—40	15—80	9—20	12—60	ყველგან 1 მანეთი და 10 კაპ.	ყველგან 1 მანეთი და 50 კაპ.	25—50	36—50	13—30	19—00	ყველგან 2 მანეთი და 50 კაპ.	ყველგან 3 მანეთი და 50 კაპ.
15—60	21—70	12—30	17—40			37—20	53—30	—	—		
14—10	19—50	11—30	15—60			25—10	35—90	14—20	20—30		
15—60	21—70	12—60	17—40			37—20	53—30	—	—		
20—90	29—00	10—60	14—60			35—90	50—90	21—50	30—80		
12—40	17—20	10—00	13—30			30—00	43—00	—	—		
15—60	21—70	12—60	17—40			3.—20	53—30	—	—		
14—10	19—50	11—30	15—60			25—10	35—90	29—00	41—50		
11—30	15—60	6—10	12—50			35—50	50—90	—	—		
—	—	—	—			—	—	—	—		
24—20	33—60	16—90	23—30			35—50	50—90	21—50	30—80		
18—30	25—50	14—80	20—40			30—00	43—00	14—80	21—20		
18—30	25—50	14—80	20—40			39—10	56—00	18—20	26—00		
18—80	26—00	15—20	20—90			31—70	45—50	33—90	48—50		
17—60	24—40	14—10	19—50			35—90	50—90	21—50	30—80		
14—10	19—50	11—30	15—60			33—10	47—40	19—50	27—90		
—	—	—	—			—	—	—	—		
14—10	19—50	11—30	15—60			25—10	35—90	29—00	41—50		
12—60	17—50	10—20	14—00			28—20	40—40	13—30	19—00		
20—90	29—00	19—50	26—90			31—70	45—50	23—90	34—80		
—	—	—	—			—	—	—	—		
18—30	25—50	14—80	20—40			32—70	46—90	18—90	27—00		
20—90	29—00	10—60	14—10			31—70	45—50	17—60	25—30		
12—10	16—80	9—70	13—40			28—20	40—40	11—80	16—90		
20—90	29—00	10—60	16—60			35—90	50—90	30—70	35—40		
11—40	15—80	9—20	12—60			25—50	36—50	11—80	16—90		
12—10	16—80	9—70	13—40			17—40	34—40	11—80	16—90		
14—10	19—50	11—30	15—60			23—40	33—60	11—80	15—00		
20—90	29—00	10—60	14—60			35—90	50—90	21—50	30—80		

[... მუხლისთვის (გვ. 324); გაგრძელება].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტ. რესპუბლიკები, ავტ. ოლქი და რაიონები	მარცვლ. და პირუტყვის საკვები კულტ. ფესვნ. და სათესი ბალახი		კარტოფილი		მზისუმზირა		თამბაქო	
	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომით დამმუშ. ამხ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომით დამმუშ. ამხ.
30. სამტრედიის	3—00	4—20	ყველგან 3 მანეთი და 25 კაპ.	ყველგან 4 მანეთი და 60 კაპ.	ყველგან 2 მანეთი	ყველგან 2 მანეთი და 80 კაპ.	ყველგან 12 მანეთი და 50 კაპ.	ყველგან 17 მანეთი და 50 კაპ.
31. სენაკის	3—00	4—30						
32. სილნაღის	3—60	4—90						
33. სტალინისის	2—60	3—60						
34. ტფილისის	2—90	4—00						
35. ტყიბულის	1—30	1—80						
36. ფოთის	2—50	3—50						
37. ქვემო-სვანეთის	1—30	1—80						
38. ქუთაისის	2—50	3—50						
39. ყაზბეგის	1—90	2—70						
40. ყარაიას	2—90	4—00						
41. ყვარლის	2—80	3—90						
42. ჩოხატაურის	2—00	2—80						
43. ჩხარის	2—20	3—00						
44. ჩხოროწყუს	2—30	3—20						
45. წალკის	1—90	2—70						
46. წალენჯიხის	1—80	2—50						
47. ცაგერის	2—20	3—00						
48. ჭიათურის	1—80	2—50						
49. ხობის	3—20	4—50						
50. ხონის	3—00	4—30						
51. ხორაგოულის	1—80	2—50						
52. აფხაზეთის ასსრ.	2—50	3—50						
53. აჭარისტანის ასსრ.	2—00	2—80						
54. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი.	2—40	3—40						
სულ საქართველოს ასსრ.	2—50	3—60	3—25	4—60	2—00	2—80	12—50	17—50

ბოსტნეული		ბალჩა		სათიბი და სასილოსო ნათესები		ბაღები და სახმილოები		მენახები		ბამბ	
კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომ-მით დამმუშ. ამბ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომ-მით დამმუშ. ამბ,	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომ-მით დამმუშ. ამბ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომ-მით დამმუშ. ამბ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთო შრომ-მით დამმუშ. ამბ.	კომუნა და არტელი	მიწ. საერთ შრომ-
21—70	30—20	17—50	24—10			39—30	56—30	8—90	12—70		
11—40	15—80	6—90	9—50			25—50	36—50	13—20	18—80		
16—90	23—40	13—60	18—80			31—70	45—50	23—90	34—00		
18—30	25—50	14—80	20—40			30—00	43—00	17—70	25—30		
24—20	33—60	16—90	23—30			30—00	43—00	21—50	30—80		
14—10	19—50	11—30	15—60			33—10	47—40	10—50	15—00		
12—10	16—80	9—70	13—40			17—40	25—00	11—80	16—90		
14—10	19—50	11—30	15—60			28—90	41—50	8—90	12—70		
21—70	30—20	17—50	24—10			39—30	56—30	8—90	12—70		
—	—	—	—			—	—	—	—		
24—20	33—60	16—90	23—30			35—50	50—90	21—50	30—80		
18—80	26—00	15—10	20—90			31—70	45—50	24—20	34—50		
12—10	16—80	9—70	13—40			17—40	25—00	11—80	16—90		
14—10	19—50	11—30	15—60			28—90	41—50	27—30	39—10		
12—60	17—50	10—20	14—00			25—20	40—40	13—30	19—00		
11—30	15—60	9—10	12—50			35—50	50—90	—	—		
12—60	17—50	10—20	14—10			28—20	40—40	13—30	19—00		
14—10	19—50	11—30	15—60			28—90	41—50	15—10	21—60		
14—10	19—50	11—30	15—60			25—10	35—90	14—20	20—30		
12—60	17—50	10—20	14—00			28—20	40—40	13—30	19—00		
21—70	30—20	17—50	24—10			25—10	35—90	8—90	12—70		
14—10	19—50	11—30	15—60			28—90	41—50	19—50	27—90		
18—00	2[illegible]—00	14—50	20—00			30—00	43—00	10—80	15—40		
18—00	25—00	14—50	20—00			19—90	28—60	9—70	13—90		
13—20	18—30	14—50	20—00			36—30	51—00	14—80	21—20		
18—00	28—00	14—50	25—00	1—10	1—50	30—00	43—00	20—00	28—00	2—50	3—

ყველგან 1 მანეთი და 10 კაპ.

ყველგან 1 მანეთი და 50 კაპ.

ყველგან 2 მანეთი და 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეღავათები მოსავლიანობის გადიდების მიზნით.

11. მოწინავე კოლმეურნეობას, რომელიც განახორციელებს აგროტექნიკურ ღონისძიებებს და ამით ნამდვილად შეასრულებს უმნიშვნელოვანესი კულტურების მოსავლიანობის გადიდების გეგმას, ეძლევა შეღავათი, რომლის ძალითაც შეწერილი გადასახადი მას შეუმცირდება 15%-ით.

ეს თანხა გამოყენებულ იქნება სპეციალური ფონდის შესაქმნელად უწყებულ კოლმეურნეობაში იმ მიზნით, რომ ამ ფონდიდან მიეცეს პრემია საუკეთესო ბრიგადებს და ცალკეულ დამკვრელ-კოლმეურნეებს, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მოსავლიანობის გეგმის შესრულებას.

12. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ყველა ბალახის (სამყურა, ონჯა და სხვ.) სათესლე ფართობი, ბოსტნეული კულტურების და საკვები ფესვნარის ფართობი. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ხანჭკოლას და სხვა კულტურების ნათესი, რომელიც ჩაიხვნება სასუქად.

შეღავათები ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარების მიზნით.

13. შაქრის ჭარხლის ნათესი სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

14. სელის ყველა ნათესი ნასამყურალ მიწაზე და გაუტეხავ მიწაზე, რომელიც მოხნულია შემოდგომიდან, და ახოზე განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

სელის დანარჩენი ნათესი დაიბეგრება შეღავათიანი განაკვეთით, სახელდობრ, მარცვლეული კულტურების განაკვეთის მიხედვით.

15. კანაფის ნათესი სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

16. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ბამბის ნათესი ურწყავ მიწაზე ყველა სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონში.

ბამბის ყველა დანარჩენი ნათესი დაიბეგრება შეღავათიანი განაკვეთით, სახელდობრ, მარცვლეული კულტურების საშუალო რესპუბლიკანური განაკვეთის მიხედვით.

17. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან კენაფის, კენდირის, რამის, საბაგირო მცენარის, პერილის, აბუსალათინის, ლუფის, კაუჩუკოსანი მცენარეების და არახისის ნათესი, ციტრუსოვანი ნარგავი და აგრეთვე სვიის და ეთეროვან-ზეთოვანი და სამკურნალო-ტექნიკური მცენარეობის დაკონტრაქტებული ნათესი ფართობი.

სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ხაოს ასაშლელი ბურძგლას ნათესი მძრალად მოხნულ მიწაზე იმ პირობით, თუ აგროტექნიკური წესები შესრულებულია.

18. ბრინჯის ნათესი განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

19. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან მრეწველობისათვის დაკონტრაქტებული ციკორის ნათესი ამ კულტურის ახალ რაიონებში. ამ რაიო-

ნების სიას დააწესებს საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შეღავათები საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების მიზნით.

20. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება კოლმეურნეობათა შემოსავალი, რაც მიღებულია თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის როგორც ნედლად, ისე გადამუშავებული სახით გაყიდვისაგან.

21. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება ის შემოსავალი, რაც მიღებულია სოკოს და ყველა სახის ტყის ნაყოფის (წიპწოვანი და კურკოვანი ნაყოფი), კედრის ნაყოფის, წიწიბოს, წაბლის, რკოს და ტყის ხმილის გაყიდვით.

შეღავათები აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით.

22. კოლმეურნეობას, რომელსაც აღრიცხვა და ანგარიშგება საუკეთესოდ აქვს დაყენებული, ეძლევა შეღავათი, რომლის ძალითაც შეწერილი გადასახადი მას შეუმცირდება 10%-მდე.

ეს თანხა გამოყენებულ იქნება სპეციალური ფონდის შესაქმნელად უწყებულ კოლმეურნეობაში იმ მიზნით, რომ ამ ფონდიდან მიეცეს პრემია საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეებს, რომელთაც აღრიცხვა და ანგარიშგება სამაგალითოდ აქვთ დაყენებული.

იმ კოლმეურნეობათა შეღავათები, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან სამხედრო მსახურნი, საბჭოთა კავშირის გმირები, ორდენებით დაჯილდოებული პირები, ყოფ. წითელგვარდიელები და წითელპარტიზანები, შრომის გმირები, გამხედროებული დაცვისა და მილიციის სამსახურში მყოფი პირები, ინვალიდები და აგრეთვე კულაკური შურისძიებისაგან დაზარალებული აქტივისტების ოჯახები.

23. კოლმეურნეობისაგან მისაღებ გადასახადის თანხას სავსებით გამოაკლდება ის ნაწილი, რა. მელიც მოდის კოლმეურნეობის შემდეგ წევრებზე:

ა) საბჭოთა კავშირის გმირზე, საბჭოთა კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორდენებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებულ პირზე და შრომის გმირზე;

ბ) საკადრო სამერიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურზე, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1934 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფ სამხედრო მსახურზე;

დ) უმცროსი საკომანდო შედგენილობის იმ სამხედრო მსახურზე, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ე) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის იმ პირზე, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, სათადარიგოდ იმყოფება და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია, და რომელიც თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების საშტატო მომუშავის სახით ატარებს მშრომელთა სამხედრო მომზადებას;

ვ) ყოფილ წითელგვარდიელზე და წითელპარტიზანზე;

ზ) გამხედროებული დაცვისა და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოს და ნაგებობის გამხედროებული სახანძრო დაცვის სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე, მუშათა და გლეხთა მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე;

თ) ომისა და შრომის ინვალიდზე, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება;

ი) სოფლის იმ აქტივისტის ოჯახზე, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებისაგან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში;

კ) სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავის ოჯახზე;

ლ) კოლექტიურ მეურნეობაში მიღებულ საბავშო სახლის მოწაფეზე და გარედან აყვანილ სრულ ობოლზე.

შენიშვნა. შელავათი შეენარჩუნებათ „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილ იმ სამხედრო მსახურთაც, რომელნიც იმყოფებიან გრძელვადიან შვებულებაში სათადარიგოდ ან სრულიად დათხოვნილი არიან სამსახურიდან 1934 წლის იანვრის 1-ის შემდეგ.

გადასახლებულ კოლექტიურ მეურნეობათა შელავათები.

24. იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც ახალ ადგილას საგეგმო წესით გადასახლდა, მიეცემა შემდეგი შელავათი:

ა) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან 6 წლის განმავლობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან 4 წლის განმავლობაში;

გ) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც გაუტეხავი მიწის დამუშავება საჭირო არ არის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში.

შეღავათები სტიქიური უბედურების გამო.

25. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ კოლმეურნეობას გაანთავისუფლებს გადასახადისაგან სრულად ან ნაწილობრივ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, მიყენებული ზარალის ოდენობის მიხედვით.

ბ. კოლექტიურ მეურნეობათა მიერ გადასახადის გადახდის წესი და ვადები.

26. კოლექტიური მეურნეობებისათვის გადასახადს გამოიანგარიშებს სარაიონო საფინანსო განყოფილება. საგადასახადო უწყებები ჩაჰბარდება კოლმეურნეობათა გამგეობას არა უგვიანეს 1934 წლის აგვისტოს 10-ისა.

27. გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ვადებზე: 50 პროცენტი — 1934 წლის 15 სექტემბრისათვის და 50 პროცენტი 15 ოქტომბრისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ საჭირო შემთხვევაში შეცვალონ ეს ვადები ცალკეული რაიონებისათვის ისე, რომ შეწერილი გადასახადის თანხა მიღებულ იქნეს არა უგვიანეს 1934 წლის დეკემბრის 1-ისა.

ნაწილი III.

კოლმეურნეთა მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილის დაბეგვრა.

ა. კოლმეურნეთა გადასახადის გამოანგარიშება.

28. ის კოლმეურნე, რომელსაც განუსაზოგადოებელი შემოსავალი არა აქვს, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან.

29. კოლმეურნის განუსაზოგადოებელ შემოსავალზე (მემინდვრეობის, მეველეობის, სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების, საშინამრეწველო და სახელოსნო სარეწაეობის შემოსავალი და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვარი, მიღებული არა დაქირავებით) კოლმეურნეს გადასახადი გადახდება შემდეგი განაკვეთის მიხედვით ერთ მეურნეობაზე:

ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქის და რაიონების სახელწოდება.	განაკვეთი მეურნეობისათვის
1. აფხაზეთის ავტ. სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	20—30 მან.
2. დუშეთისა, თიანეთისა, ლანჩხუთისა, ოზურგეთისა, ტყიბულისა, ფოთისა, ქვემო-სვანეთისა, ყაზბეგისა, ცაგერისა, ჩოხატაურისა, ჩხარისა, ჩხორწყუსი, ჭიათურისა, ხორაგოულისა	20 მან.
3. აბაშისა, ადიგენისა, ამბროლაურისა, ასპინძისა, ახალქალაქისა, ახალციხისა, ბოგდანოვკისა, ბორჯომისა, ვანისა, მარტვილისა, ონისა, ჭუთაისისა, წალენჯიხისა, წალკისა	
4. აღბულახ-მანგლისისა, ბაღდადისა, ბაშკიჩეთისა, ბორჩალოსი, გორისა, გურჯაანისა, ზესტაფონისა, ხუგდიდისა, თელავისა, ყასპისა, ლაგოდეხისა, ლუქსემბურგისა, საგარეჯოსი, სამტრედიისა, სენაკისა, სიღნაღისა, სტალინისისა, ტფილისისა, ყარაიასი, ყვარლისა, ხობისა, ხონისა . . .	30 მან.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები ზემოაღნიშნული განაკვეთების ფარგლებში დააწესებენ ცალკეული რაიონების მიხედვით გადასახადის განაკვეთებს კოლმეურნეთა მეურნეობათათვის; ამასთან დაცულ უნდა იქნეს კოლმეურნეთა გადასახადის საშუალო განაკვეთი ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში.

30. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ გადასახადის საბოლოო განაკვეთებს სასოფლო საბჭოებისათვის, სოფლებისათვის, ხოლო სათანადო შემთხვევაში ცალკეული კოლმეურნეობებისთვისაც ისე კი, რომ შეცვლილ არ იქნეს გადასახადის თანხა, რაც გამოანგარიშებულია უწყებული რაიონის საშუალო განაკვეთის მიხედვით. სოფლის ან კოლმეურნეობის ფარგლებში სხვადასხვა განაკვეთის დაწესება კოლმეურნეთა ცალკეული მეურნეობებისათვის აკრძალულია.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი და სასოფლო საბჭო პასუხს აგებს იმისათვის, რომ კოლმეურნეთა გადასახადი არავითარ შემთხვევაში არ აღემატებოდეს უწყებული სოფლისა თუ კოლმეურნეობისათვის დაწესებულ განაკვეთს.

31. იმ მეურნეობას, რომელსაც თავის შედგენილობაში ჰყავს არა უმეტეს ორი შრომაუნარიანი წევრისა, ეძლევა შემდეგი შეღავათი შრომის უნარმოკლებულ წევრებზე: როდესაც მეურნეობაში სამი შრომის უნარმოკლებული წევრია, მეურნეობას შეწერილი გადასახადი შეუმცირდება 20%-ით; როდესაც მეურნეობაში ოთხი და მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია, მეურნეობას შეწერილი გადასახადი შეუმცირდება 30%-ით.

32. სამუშაო ხელფასი დაიბეგრება არა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, არამედ საშემოსავლო გადასახადით მუშაობის ადგილას.

კოლმეურნეობის წევრი—მუშა-მოსამსახურე, უკეთუ თვითონ იგი და მისი ოჯახის შრომა-უნარიანი წევრი არ მუშაობს კოლმეურნეობაში, ან მის მუშაობას კოლმეურნეობაში შემთხვევითი არასისტემატური ხასიათი აქვს (მაგალითად: შვებულების დროს, გამოსასვლელ დღეებში და სხვ.) და იგი შრომა-დღეების მცირე რაოდენობაში გამოიხატება, არ დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იმ შემთხვევაში, როდესაც მისი განუსაზოგადოებელი სოფლის მეურნეობა 65 მუხლში აღნიშნულ ოდენობას არ აღემატება.

ბ. კოლმეურნეთა შეღავათები.

33. კოლმეურნის განუსაზოგადოებელი შემოსავლის დაბეგვრის დროს კოლმეურნეობისაგან მიღებული შემოსავალი (შრომა-დღეების სასყიდელი) სათვალავში არ მიიღება.

34. კოლმეურნეთა მეურნეობაში მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად—დაბეგვრისაგან განთავისუფლდება მთლად ოთხფეხი საქონელი, ფრინველი, შინაური კურდღელი, ფუტკარი და მეაბრეშუმეობის შემოსავალი.

35. საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების მიზნით, კოლმეურნეებს არ შეეფარდებათ ერთპიროვნულ მეურნეობათათვის დაწესებული განსაკუთრებული დაბეგვრა იმ შემოსავლისა, რაც მიიღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით ბაზარზე შექმნილი ფასების მიხედვით (მუხ. 58).

36. სასოფლო საბჭოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს გადასახადისაგან კოლმეურნეთა ცალკეული მცირეძალოვანი მეურნეობანი.

იმ მეურნეობათა სია, რომელნიც მცირეძალოვნობის გამო სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულ უნდა იქნენ გადასახადისაგან, წარედგინება დასამტკიცებლად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

37. გადასახლებული კოლმეურნეობის წევრის მეურნეობა გადასახადისაგან განთავისუფლდება იმავე ვადით, რაც დადგენილია თვით კოლექტიური მეურნეობის განთავისუფლებისათვის.

38. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან იმ კოლმეურნის მეურნეობა, რომლის შედგენილობაში შედიან:

ა) საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორდენებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და შრომის გმირი;

ბ) საკადრო სამეიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (უუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1934 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფი სამხედრო მსახური;

დ) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ე) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის [illegible] ბირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, სათადარიგოდ იმყოფება და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია, და რომელიც თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის საშტატო მომუშავის სახით ატარებს მშრომელთა სამხედრო მომზადებას;

ვ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი;

ზ) გამხედროებული დაცვისა და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოს და ნაგებობის გამხედროებული სახანძრო დაცვის სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი, მუშათა და გლეხთა მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი;

თ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება.

შენიშვნა. „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილ სამხედრო მსახურთ შეღავათის უფლება შეენარჩუნებათ იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ისინი იმყოფებიან გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად დათხოვნილი არიან სამსახურიდან 1934 წლის იანვრის 1-ის შემდეგ.

39. მეურნეობას, სადაც არის სამხედრო მსახური და სათადარიგო სამხედრო-ვალდებული პირი, რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებასა და შეკრებაზე, ვადა გადახდის იმ ნაწილის გადახდისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან.

40. სტიქიური უბედურებით დაზარალებულ მეურნეობას სრულად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლებს გადასახადისაგან სარაიონო საგადასახადო კომისია მიყენებული ზარალის ოდენობის და მეურნეობის ძალოვნობის მიხედვით,

41. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან სოფლის იმ აქტივისტის ოჯახი, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებისაგან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

42. სრულიად განთავისუფლდება გადასახიდასაგან ტყის იმ მომუშავის ოჯახი, რომელიც მოკლულ იქნა სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით.

43. გარდა ყველა ზემოჩამოთვლილი შეღავათებისა, კრლმეურნეს ეძლევა აგრეთვე შეღავათი 66, 67, 69, 70, 71, 72, 73, 83 და 84 მუხლების წესისამებრ.

გ. კოლმეურნეთა მიერ გადასახადის გადახდის ვადები.

44. გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ვადებზე:

1-ლი ვადა—1934 წ. ოქტომბრის 1 . . . . 25% შენაწერი გადასახადისა;
მე-2 ვადა—1934 წ. ნოემბრის 15 . . . . 50% შენაწერი გადასახადისა;
მე-3 ვადა—1934 წ. დეკემბრის 15 . . . . 25% შენაწერი გადასახადისა.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ შეცვალონ გადა ახადის გადახდის ზემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ვადები რაიონებისათვის ისე კი, რომ გადასახადის მთელი გამოანგარიშებული თანხა გადახდევინებულ იქნეს 1934 წლის დეკემბრის 15-მდე.

45. გადასახადის გადახდის დაწესებული ვადები აუცილებლად გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის, გამოცხადდება სასოფლო ყრილობაზე, შეიტანება საგადასახადო უწყებებში და მთელი საგადასახადო წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება.

ნაწილი IV.

ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების დაბეგვრა.

ა. ზოგადი დებულებანი.

46. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება თვითეული ერთპიროვნული შრომითი მეურნეობისათვის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც გაიღებს შემდეგი წყაროებიდან:

ა) მემინდვრეობა;

ბ) მეველეობა;

გ) ყოველგვარი ოთხფეხი საქონელი, ღორის გარდა;

დ) სოფლის მეურნეობის შემდეგი სპეციალური დარგები: მებოსტნეობა, მებალჩეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა, მებამბეობა, კარტოფილის და ბრინჯის ნათესი, დაფნის ნარგავი და სათიბი;

ე) შინამრეწველობა, სახელოსნო რეწვაობა და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვარი (არადაქირავებით), გარდა სამუშაო ხელფასისა, რომელიც სათანადო შემთხვევაში დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით მუშაობის ადგილას.

შენიშვნა 1. მეთევზეობის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ სათევზაო მეურნეობაში, რომელიც დაჭერილ თევზს არ აბარებს კონტრაქტაციით სახელმწიფო სათევზაო მრეწველობის საწარმოს ან კოოპერატიულ ორგანიზაციას.

შენიშვნა 2. ნადირობის რეწვაობის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება.

47. ის წყარო, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, არავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება, გარდა:

ა) სარეწაო გადასახადისა იმ საწარმოს და რეწვაობისათვის, რომელიც იბეგრება ბრუნვის პროცენტული შეფარდებით;

ბ) წყლის გამოსაღებისა—სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში;

გ) საბილეთო გამოსაღებისა—თევზის სარეწაო ჭერის უფლებისათვის.

იმ მიწის ნაკვეთზე, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, აგრეთვე იმ აღნაგიან ნაკვეთზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სარგებლობასთან, მიწის რენტა გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

ის შენობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი მეურნეობის შედგენილობაში შედის, განთავისუფლდება შენობის ადგილობრივი გადასახადისაგან.

48. ქალ. ტფილისსა, ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, თელავსა, სიღნაღსა, ბორჯომსა, ჭიათურასა და გაგრაში ის მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა, გარდა 91 მუხ. გათვალისწინებული კულაკური ნიშნების მქონე მეურნეობებისა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა დანარჩენ ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ის მოქალაქენი, რომელნიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, სასოფლო სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან, როგორც სოფლის მეურნეობის შემოსავლის, ისე არასამიწათმოქმედო საშოვარის მიხედვით, ხოლო, ამასთანავე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრებიან და სათანადო შემთხვევაში დაიბეგრებიან სხვა გადასახადით შემდეგი კატეგორიის მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ მიჩენილი სასოფლო სამეურნეო სარგებლობისათვის გამოსადეგი მიწა (გარდა საეზოვე ნაკვეთისა):

ა) მეურნეობა, რომელსაც აქვს სამომხმარებლო ხასიათის ბოსტანი, ხილის ბაღი, ვენახი და სხვ. არა უმეტეს 0,05 ჰექტარისა, უკეთუ ამასთანავე სოფლის მეურნეობის სხვა ძირითადი დარგების ნორმატიული შემოსავალი ამ მეურნეობაში არ აღემატება 50 მანეთს წელიწადში;

ბ) მეურნეობა, რომელსაც აქვს შემოსავალი მხოლოდ სოფლის მეურნეობის მეორეხარისხოვანი დარგებიდან.

49. ის მოქალაქენი, გარდა ინდივიდუალური წესით დასაბეგრი მეურნეობებისა, რომელნიც ცხოვრობენ ქალ. ტფილისსა, ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, თელავსა, სიღნაღსა, ბორჯომსა, ჭიათურასა და გაგრაში და რომელთაც აქვთ სოფლის მეურნეობა ამ ქალაქების გარეშე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს გადაიხდიან იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც ისინი სოფლად იღებენ; დანარჩენი საქალაქო შემოსავლისათვის ისინი დაიბეგრებიან სხვა გადასახადებით მთლად ქალაქის მოსახლეობის თანაბრად.

ბ. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება.

შემოსავლიანობის ნორმები.

50. შრომითი მეურნეობის მემინდვრეობისა, მეველეობისა, მესაქონლეობისა, მებოსტნეობისა, მებაღჩეობისა, მებაღეობისა, მევენახეობისა, მეთამბაქოობისა და სხვა სპეციალური დარგების შემოსავალი გამოიანგარიშება შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

51. საქართველოს სსრ ის ცალკეული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის (ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა და რაიონებისათვის) დაწესებულია შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო ნორმები მანეთობით:

[იხ. ცხრილი, გვ. 340—341]

52. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმებს ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ძედგენილობაში შემავალი ცალკეული რაიონებისათვის, ხოლო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ დააწესონ შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმები ცალკეული სოფლებისათვის და იმ ტერიტორიისათვის, რასაც სასოფლო საბჭო აერთიანებს.

ამასთანავე, თვითეულ რესპუბლიკასა, ოლქსა და რაიონში უცვლელად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის დასაბეგრი შემოსავლის ის საერთო თანხა, რაც განსაზღვრულია მთლიანად რესპუბლიკისა, ოლქისა თუ რაიონისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით.

53. 51 და 52 მუხლის თანახმად დადგენილი ნორმები შემოსავლიანობისა მაიი გამოქვეყნების შემდეგ არ შეიძლება შეიცვალოს საგადასახადო წლის განმავლობაში.

მემინდვრეობის, მეველეობის და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების შემოსავლის განსაზღვრა.

54. მემინდვრეობის, მებოსტნეობის, მებალჩეობის, მევენახეობის, მებაღეობის და მეთამბაქოობის დასაბეგრი შემოსავლი განისაზღვრება:

ა) საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობის მიხედვით, რაც უწყებული მეურნეობისათვის დადგენილია 1933 წლის შემოდგომისა და 1934 წლის გაზაფხულის გეგმით;

ბ) სათიბის და მრავალწლიანი ნარგავის (ბაღი, ვენახი და სხვ.) ფაქტიური ფართობის მიხედვით.

საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ფართობი, რაც დათესილია გეგმის ზედმეტად, გადასახადით არ დაიბეგრება.

ოთხფეხი საქონლის შემოსავლის განსაზღვრა.

55. ოთხფეხი საქონლის შემოსავლის განსაზღვრისათვის სათვალავში მიიღება.

ა) ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი, ჯორი და აქლემი 4 წლისაზე უხნესი;

ბ) ბუღა 3 წლისაზე უხნესი;

გ) ძროხა და ფურ-კამეჩი პირველი მოგების შემდეგ და უშობელი 3 წლისაზე უხნესი;

დ) ნაზამთრი ცხვარი და თხა.

ოთხფეხი საქონლის ასაკი გამოიანგარიშება 1934 წლის მაისის 1-ისათვის

არასამიწათმოქმედო შემოსავლის განსაზღვრა

56. არასამიწათმოქმედო საშოვარი გამოიანგარიშება მთელი დროისათვის 1933 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

57. არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობას თვითეული მეურნეობისათვის განსაზღვრავს სასოფლო საბჭო და დაამტკიცებს საარაიონო საგადასახადო კომისია.

ამასთანავე საერთო შემოსავალს გამოაკლდება ყველა ძირითადი საწარმოო ხარჯები რეწაობის ხაზით: ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, სათბობის და სხვ. ხარჯი. ამგვარად გამოანგარიშებული შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში 30%-ის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტ. რესპუბლიკები ავტ. ოლქი და რაიონები	მარცვლეული და ცერცვეული	ბოსტანი და ბაღჩა	კარტოფილი	ვენახი	ბაღები და ხმილები	სათიბი	თამბაქო	ბამბა	ბრინჯი	დაფნა	მსხვილფეხა რქოს. საქონელი (პროდუქტ.)	ხარი და კამეჩი	ცხენი	ვირი	ცხვარი და თხა
1. აბაშის	81	337		—	560	—					13	15	14		
2. ადიგენის	61	344		—	681	20					17	12	17		
3. ამბროლაურის	64	413		645	545	16					13	15	16		
4. ასპინძის	61	348		—	681	20					17	12	17		
5. აღბულახ-მანგლისის	80	613		939	697	34					15	16	18		
6. ახალქალაქის	75	363		—	662	31					18	18	16		
7. ახალციხის	61	348		—	681	20					17	18	17		
8. ბაღდადის	67	413		1039	545	16					13	15	16		
9. ბაშკიჩეთის	61	330		300	476	28					23	16	18		
10. ბოგდანოვკის	59	—		—	—	31					23	18	24		
11. ბორჩალოს	86	613		900	775	34					17	16	18		
12. ბორჯომის	70	538		641	655	25					18	15	16		
13. გორის	73	538		660	853	25					14	15	16		
14. გურჯაანის	71	553	180 მან.	1039	693	29	550 მან.	70 მან.	383 მან.	200 მან.	17	17	19	6 მან.	1 მან. 50 კაპ.
15. დუშეთის	59	592		645	775	48					15	17	18		
16. ვანის	77	413		780	722	16					13	15	16		
17. ზესტაფონის	59	413		1039	545	16					13	15	16		
18. ზემო-სვანეთის	—	—		—	—	—					—	—	—		
19. ზუგდიდის	81	369		482	614	16					13	15	15		
20. თელავის	70	553		867	693	30					17	17	19		
21. თიანეთის	62	592		—	476	20					14	16	18		
22. კასპის	70	538		757	784	25					13	15	16		

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ლაგოდეხის	95	553		488	693	29					13	17	19		
24. ლანჩხუთის	55	355		431	614	16					17	14	14		
25. ლუქსემბურგის	88	613		1142	814	28					19	16	18		
26. მარტვილის	77	337		482	555	16					13	15	14		
27. ოზურგეთის	55	355		431	456	16					13	14	14		
28. ონის	62	413		393	510	16					13	15	16		
29. საგარეჯოს	82	675		783	775	23					18	16	18		
30. სამტრედიის	74	828		325	858	16					13	15	16		
31. სენაკის	81	337		482	555	16					13	15	14		
32. სილნაღის	82	593		823	692	29					17	17	19		
33. სტალინისის	73	538		660	785	25					13	15	16		
34. ტფილისის	88	650		742	775	17					22	16	18		
35. ტყიბულის	42	413		383	722	16					13	15	16		
36. ფოთის	64	355		431	380	16					13	15	14		
37. ქვემო-ავანეთის	34	413		482	631	16					13	15	16		
38. ქუთაისის	66	629		548	857	16					13	12	16		
39. ყაზბეგის	51	—		—	478	19					15	16	18		
40. ყარაიას	88	613		823	620	34					22	16	18		
41. ყვარლის	82	709		878	693	29					17	17	19		
42. ჩოხატაურის	55	355		473	380	16					13	14	14		
43. ჩხარის	59	413		903	631	16					13	15	16		
44. ჩხოროწყუს	65	369		530	614	16					13	15	15		
45. ცაგერის	59	413		632	726	16					13	15	16		
46. წალენჯიხის	65	369		482	614	16					13	15	15		
47. წალკის	59	330		—	357	26					18	16	18		
48. ჭიათურის	49	413		529	655	16					13	15	16		
49. ხობის	87	369		482	614	16					13	15	15		
50. ხონის	81	700		324	545	16					13	15	16		
51. ხორაგოულის	48	413		780	631	16					13	15	16		
52. აფხაზეთის ასსრ	67	650		393	477	25					13	15	16		
53. აჭარისტანის ასსრ	55	400		355	477	16					13	14	14		
54. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი .	65	382		539	791	23					14	10	16		
სულ საქართველ.	70	550	180	800	700	28	550	70	383	200	16	15	17	6	1-50

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერირებული შინამრეწველისა და ხელოსანის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს თავისი პროდუქციის ჩაბარებით არტელში, არ დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, არამედ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით სამუშაო ხელფასისათვის დადგენილი წესისამებრ.

ხოლო კოოპერირებული შინამრეწველისა და ხელოსნის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს პროდუქციის გაყიდვით თავისი არტელის გარეშე, ჩაირაცხება მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შედგენილობაში არაკოოპერირებულ შინამრეწველთა შემოსავლის თანაბრად.

ბაზარზე შექმნილ ფასად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლის აღრიცხვა.

58. ერთპიროვნული მეურნეობის შემოსავალი, მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით ბაზარზე შექმნილ ფასად, განისაზღვრება მთელი დროის მიხედვით—1933 წლის სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო აღრიცხვიდან 1934 წლის აღრიცხვამდე.

ეს შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში ისეთი რაოდენობით, რომ იგი მეურნეობის დანარჩენი დასაბეგრი შემოსავლის (სოფლის მეურნეობის შემოსავლის და არასამიწათმოქმედო შემოსავლის) მიმართ შეადგენდეს არა უმეტეს:

ა) 30%-ისა აფხაზეთის ავტ. სსრ-ში, აჭარისტანის ავტ. სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე ადიგენის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაღდადის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, თელავის, თიანეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, ოზურგეთის, ონის, სილნაღის, ტყიბულის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, წალკის, წალენჯიხის, ცაგერის, ჭიათურის, ხარაგოულის და ხობის რაიონებში;

ბ) 40%-ისა—აბაშის, ალბულახ-მანგლისის, ბორჩალოს, ბორჯომის, ვანის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ქუთაისის, ყარაიას და ხონის რაიონებში;

გ) 50%-ისა—გორის, კასპის, საგარეჯოს, სამტრედიის, სტალინისის და ტფილისის რაიონებში.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ-ალმასრულებელ კომიტეტებს ნება ეძლევათ ცალკეული საგარეთუბნო რაიონებისათვის, სადაც ერთპიროვნულ მეურნეობათა შემოსავლიანობა ბაზარზე შექმნილ ფასად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისაგან მნიშვნელოვნად განვითარებულია, გაადიდონ აღნიშნული პროცენტი მეურნეობის დანარჩენი დასაბეგრი შემოსავლის 50%-მდე.

ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი რაიონების სარაიონო ალმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ამ რაიონებისათვის დაწესებული ოდენობა ბაზარზე შექმნილ ფასად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული დასაბეგრი შემოსავლისა შეამცირონ 30%-მდე იმ ცალკეული სასოფლო საბჭოებისა და სოფლებისათვის, სადაც ბაზარზე გაყიდვით მიღებული შემოსავალი ნაკლებ თვალსაჩინოა.

59. შემოსავალი, რაც მიიღება პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კოოპერაციისათვის მიყიდვით, გადასახადით არ დაიბეგრება.

60. იმ შემოსავლის ოდენობას, რასაც მეურნეობა მიიღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე შექმნილ ფასად გაყიდვისაგან, განსაზღვრავს სასოფლო საბჭო და დაამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

ბ. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების გადასახადის გამოანგარიშება

61. გადასახადის გამოანგარიშება ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის მოხდება განაკვეთების შემდეგი ტაბულის მიხედვით:

დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა მეურნეობაზე	გადასახადის რაოდენობა მეურნეობაზე
200 მანეთამდე	25 მანეთი (მტკიცე განაკვეთი) . . . .
200 მ-ზე მეტი თანხისათვის 300 მ-მდე . .	25 მ.+5 კ. შემ. თვით. მ-ზე 200 მ. ზევ.
300 „ „ „ 400 „ . .	30 მ.+15 კ. „ „ „ 300 მ. „
400 „ „ „ 500 „ . .	45 მ.+20 კ. „ „ „ 400 მ. „
500 „ „ „ 700 „ . .	65 მ.+30 კ. „ „ „ 500 მ. „
700 „ „ „ — „ . .	125 მ.+35 კ. „ „ „ 700 მ. „

შენიშვნა. გადასახადი ერთპიროვნული შრომითი მეურნეობისა არ შეიძლება იყოს იმ განაკვეთზე ნაკლები, რაც დაწესებულია უწყებული რაიონის კოლმეურნეებისათვის (მუხ. 29).

62. იმ მეურნეობებს, რომელთაც თავის შედგენილობაში ჰყავთ არა უმეტეს ორი შრომაუნარიანი წევრისა, ეძლევათ შემდეგი შეღავათი ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებზე:

როდესაც მეურნეობაში სამი შრომის უნარმოკლებული წევრია, გამოანგარიშებული გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 20%-ით; როდესაც მეურნეობაში ოთხი და მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია, გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება—30 %-ით.

63. ის მეურნეობა, რომელიც ბოროტი განზრახვით არ ასრულებს თესვისა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების მიცემულ გეგმებს, დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით საერთო საფუძველზე, ხოლო გადასახადის თანხა მას გაუორკეცდება. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობებს არავითარი შელავათი (მათ შორის 62 მუხლით გათვალისწინებული შელავათიც) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში არ ეძლევათ. ასეთი მეურნეობების სიას დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

დ. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების შელავათები.

მცირეძალოვან მეურნეობათა შელავათები.

64. სასოფლო საბჭოს შეუძლიან სრულიად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს გადასახადისაგან ცალკეული მცირეძალოვანი მეურნეობანი. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წითელარმიელების და აგრეთვე ყოფილი წითელგვარდიელების და წითელპარტიზანების განთავისუფლებას.

იმ მეურნეობათა სია, რომელნიც მცირეძალოვნობის გამო სრულიად ან ნაწილობრივ უნდა იქნენ განთავისუფლებული, წარედგინება დასამტკიცებლად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

მუშა-მოსამსახურეთა შელავათები.

65. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას საკარმიდამო მიწაზე და რომელსაც ჰყავს არა უმეტეს ერთი ძროხისა, წვრილი ოთხფეხი საქონელი, აქვს სათიბი და არა აქვს სამინდვრე მიწა და არც მუშა-საქონელი ჰყავს, უკეთუ სამუშაო ხელფასი მისი შემოსავლის ძირითადი წყაროა, ხოლო სოფლის მეურნეობა მხოლოდ დამხმარე ხასიათისაა.

მუშისა და მოსამსახურისათვის ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის დასათესად მიცემული მიწის ნაკვეთი აგრეთვე არ დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

66. იმ პირის მეურნეობა, რომელმაც თავისი თავი დააკონტრაქტა ან მიამაგრა სამთო მრეწველობაში მიწის ქვეშ მუშაობისათვის ერთ წელიწადზე არა ნაკლები ვადით, გადასახადისაგან განთავისუფლდება. უკეთუ აღნიშნული პირი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მის მეურნეობას გადახდება საერთო საფუძველზე.

67. გადასახადისაგან განთავისუფლდება რკინის გზის, წყალსავალი გზის, გზატკეცილის და ყამირგზის ტრანსპორტის სახაზო მომუშავის შემოსავალი ყოველგვარი სახის სოფლის მეურნეობისა ტრანსპორტისათვის მიჩენილ მიწაზე.

საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა შელავათები.

68. იმ ერთპიროვნულ გლეხთა მეურნეობანი, რომელნიც 1934 წელს გადადიან საბჭოთა მეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე შრომის ხელშეკრულებით ვადით არა ნაკლებ სასოფლო-სამეურნეო სეზონისა (სსრ კავშირის სახალხო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისართა საბჭოს 1934 წლის მარტის 26-ის დადგენილება—სსრკ-ის კანონმდებლობა 1934 წ. 17 №-ი, მუხ. 133), სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდებიან.

შეღავათები ტექნიკური და სპეციალური კულტურებისა და ბალახის თესვის განვითარების მიზნით.

69. შაქრის ჭარხლის ნათესი სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან.

70. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან კანაფის დაკონტრაქტებული ნათესი და აგრეთვე სელის ყველა ნათესი ნასამყურალზე, შემოდგომიდან მოხნულ გაუტეხავ მიწაზე და ახოზე. სელის დანარჩენი ნათესი დაიბეგრება შეღავათიანი ნორმით, სახელდობრ, მარცვლეული კულტურების ნორმის მიხედვით.

71. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ბამბის ნათესი ურწყავ მიწაზე სარწყავი მიწათმოქმედების ყველა რაიონში.

ბამბის დანარჩენი ნათესი დაიბეგრება შეღავათიანი ნორმით, სახელდობრ, მარცვლეული კულტურების ნორმის მიხედვით.

72. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან ციტრუსოვანი ნარგავის ფართობი, კენდირის, კენაფის, რამის, საბაგირო მცენარის, პერილის, აბუსალათინის, ლუფის, არახისის და კაუჩუკოსანი მცენარეების ნათესი ფართობი და აგრეთვე მრეწველობისათვის დაკონტრაქტებული ციკორის ნათესი ფართობი ამ კულტურის ახალ რაიონებში, რომელთა ნუსხას დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, და დაკონტრაქტებული ფართობი სვიისა და ეთეროვან-ზეთოვანი და სამკურნალო-ტექნიკური მცენარეების ნათესისა.

სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ხაოს ასაშლელი ბურძგლას ყველა ნათესი მძრალად მოხნულ მიწაზე იმ პირობით, თუ აგრო-ტექნიკური წესები შესრულებულ იქნა.

73. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან სამყურას ფართობი, რომელიც ფაქტიურად დატოვებულია სათესლედ, და აგრეთვე ხანჭკოლას და სხვა კულტურების ყველა ნათესი, რაც ჩაიხვნება სასუქად.

შეღავათები მეცხოველეობის, მეფრინველეობის და მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით.

74. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ძროხისა, ბუღისა, სანაშენო კამეჩისა, ფურ-კამეჩისა, ცხვრისა და თხის ნამატი მეურნეობაში 1933 წელთან შედარებით.

75. ცხვრისა და თხის შემოსავლის ნორმები შემცირდება ნახევრად: 3 მანეთის ნაცვლად 1 მან. 50 კაპ. ერთ სულზე.

76. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება კარაკულის ჯიშის ცხვარი და მისი მეტისები.

77. სრულიად განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან: მელორეობა, მეფრინველეობა, შინაური კურდღლის მოშენება, მეაბრეშუმეობა და თუთის ხის ხრალის შემოსავალი.

იმ მეურნეობათა შეღავათი, რომელთა შედგენილობაშიაც შედის სამხედრო მსახური, საბჭოთა კავშირის გმირი, ორდენებით დაჯილდოებული პირი, შრომის გმირი, ყოფილი წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი, გამხედროებული დაცვისა, მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულების სამსახურში მყოფი პირი და აგრეთვე ინვალიდი.

78. შეღავათი ეძლევა იმ მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის:

ა) საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის, ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორდენებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და შრომის გმირი;

ბ) საკადრო სამერიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1934 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფი სამხედრო მსახური;

დ) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ე) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის ის პირი, რომელიც გრძელვადიან შვეულებაშია, სათადარიგოდ იმყოფება და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია, და რომელიც თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის საშტატო მომუშავის სახით ატარებს მშრომელთა სამხედრო მომზადებას;

ვ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი;

ზ) გამხედროებული დაცვისა და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოს და ნაგებობის გამხედროებული სახანძრო დაცვის სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი, მუშათა და გლეხთა მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი;

თ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება.

ჩამოთვლილ მეურნეობებს შეწერილი გადასახადი შეუმცირდებათ 20 მანეთით, უკეთუ მეურნეობაში არის სხვა შრომის-უნარიანი მამაკაცი, და 30 მანეთით, უკეთუ მეურნეობაში სხვა შრომისუნარიანი მამაკაცი არ არის.

უკეთუ მეურნეობაში არის ამა მუხლში ჩამოთვლილი კატეგორიების რამდენიმე პირი, შეღავათი მეურნეობას მიეცემა თვითეულ ასეთ პირზე.

შენიშვნა. „ბ" და „გ" პუნქტებში ჩამოთვლილ სამხედრო მსახურთ შეღავათის უფლება შეენარჩუნებათ იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ისინი იმყოფებიან გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად დათხოვნილი არიან სასაახურიდან 1934 წლის იანვრის 1-ის შემდეგ.

79. მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის სამხედრო მსახური და სათადარიგო სამხედრო-ვალდებული პირი, გაწვეული ასეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებაზე და შეკრებაზე, ვადა გადასახადის იმ ნაწილის გადახდისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან.

80. უკეთუ მეურნეობის შედგენილობაში შედის ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახური, გაწვეული სამთვიან სწავლებაზე სამსახურის პირველ წელიწადს ან სასწავლო შეკრებაზე საკუთარი საშწყობრო ცხენით, ეს ცხენი გადასახადით არ დაიბეგრება.

გადასახლებულთა შეღავათები.

81. ერთპიროვნული მეურნეობა, რომელიც 1930 წლის აპრილის 1-მდე გადასახლდა საგეგმო წესით ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში.

ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელიც საგეგმო წესით გადასახლდა 1930 წლის აპრილის 1-ის შემდეგ, ეძლევა შეღავათი სპეციალურ დადგენილებათა საფუძველზე, რომელთაც გამოსცემს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გადასახლების საქმის სრულიად საკავშირო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად.

სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მეურნეობათა შეღავათები.

82. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობა განთავისუფლდება გადასახადისაგან სარაიონო საგადასახადო კომისიის მიერ სრულად ან ნაწილობრივ—მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისა და მეურნეობის ძალოვნობის მიხედვით.

სხვა შეღავათები.

83. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ხე-ტყის დამზადებასა (ხე-ტყის დამუშავება, გამოზიდვა, ჩამოტივტივება და სხვ.) და ტორფის დამუშავებაზე მიღებული საშოვარი.

84. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ის შემოსავალი, რასაც მეურნეობას მისცემს შეგროვება:

ა) სოკოსი, ყოველგვარი ტყის ნაყოფისა (წიპწოვანი და კურკოვანი ნაყოფის), კედრის ნაყოფისა, წიწიბოსი, წაბლისა, რკოსი და აგრეთვე ტყის ხმილისა;

ბ) საუტილიზაციო ნედლეულისა და ლითონის ნამტვრევისა;

გ) ფისისა.

ეს შეღავათი მეურნეობას მიეცემა იმ პირობით, უკეთუ იგი მთლად შეგროვებულ ზემოაღნიშნულ პროდუქტებსა და საგნებს სახელმწიფო თუ კოოპერატიულ ორგანიზაციას ჩააბარებს.

85. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან სოფლის იმ აქტივისტის ოჯახი, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებით სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

86. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან იმ სატყეო მომუშავის ოჯახი, რომელიც მოკლულ იქნა სახელმწიფო ქონების დაცვის ხაზით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს ან ამ აღსრულებასთან დაკავშირებით.

87. იმ პირთა მეურნეობა, რომელთაც იკისრეს ობლებისა და მათი ქონების მეურვეობა და მზრუნველობა, განთავისუფლდება მეურვეობაში მყოფ პირთა ხვედრი მიწის ნაკვეთებისა და მათი კუთვნილი ოთხფეხი საქონლის შემოსავლის გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში მეურნეობისა და მზრუნველობის დაწესების დროიდან.

ეს შეღავათი შეფარდებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეურვე ან მზრუნველი ობოლთან ერთად ცხოვრობს და მათი მეურნეობა ერთად სწარმოებს.

ე. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების მიერ გადასახადის გადახდის ვადები.

88. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობები გადასახადს გადაიხდიან იმავე ვადებზე, რაც დადგენილია კოლმეურნეებისათვის (მუხ. 44—45).

ᲗᲐᲠᲘ V.

ᲙᲣᲚᲐᲙᲣᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲑᲔᲒᲕᲠᲐ.

89. ყველა კულაკური მეურნეობა დაიბეგრება მისი ნამდვილი შემოსავლიანობის მიხედვით ინდივიდუალური წესით და არა ნორმების მიხედვით, და მას არავითარი შეღავათი არ ეძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საქალაქო საბჭოებმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებმა მტკიცეთ უნდა ადევნონ თვალყური, რათა ყველა კულაკური მეურნეობა სავსებით გამორკვეულ იქნეს, ინდივიდუალური წესით დაიბეგროს და მათი გადასახადის თანხა გადახდევინებულ იქნეს მთლიანად დადგენილ ვადაზე; ამასთანავე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების ინდივიდუალური წესით დაბეგვრა.

99. აკრძალულია ინდივიდუალური წესით დაბეგვრა (უკეთუ არ არის სხვა ნიშნები, რაც საფუძველს იძლევა, რომ მეურნეობა კულაკურ მეურნეობათა რიცხვს მიეკუთვნოს) შინამრეწველობისა და ხელოსნებისა:

ა) რომელნიც რეწაობაში იყენებენ დაქირავებულ შრომას, თუ ეს გამოყენება არ იწვევს საარჩევნო უფლების ჩამორთმევას;

ბ) რომელნიც თავის რეწაობაში იყენებენ მექანიკურ ძრავს, გარდა წისქვილისა, ბურღულის საფქველისა, ფეტვის საფქველისა, ზეთის სახდელისა, ბოჭკოს საჩეჩელისა და მატყლის საპენტისა, უკეთუ სარეწაო მოქმედობს დაქირავებული შრომის გამოუყენებლად.

91. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება შემდეგი ნიშნების საფუძველზე:

I. მეურნეობა კულაკურ მერნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება, უკეთუ იგი სისტემატურად ეწევა სპეკულაციას (შესყიდვა-გაყიდვა) და ამით მდიდრდება მუშებისა და გლეხების ხარჯზე.

II. უკეთუ მეურნეობა სისტემატურად იყენებს დაქირავებულ შრომას საშინამრეწველო რეწაობაში და საწარმოში, ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის, იგი ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად, გარდა იმ შემთხვევისა, რაც აღნიშნულია 90 მუხლში, და აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამუშავების თავისებურობით და ამ დაქირავებული შრომის გამოყენება არ აღემატება შემდეგ ზღვრულ რაოდენობას:

ა) სამარცვლეულო მეურნეობისათვის:

აღმოსავლეთ საქართველოში	— 50	სამუშაო	დღეს	წელ-ში	1	მეურნ-ზე.
დასავლეთ საქართველოში	— 35	„	„	„	—	„
ბ) საბაღე მეურნეობისათვის	— 75	„	„	„	—	„
გ) საბოსტნე მეურნეობისათვის	—100	„	„	„	—	„
დ) საჩაიე მეურნეობისათვის	—150	„	„	„	—	„
ე) საბამბე მეურნეობისათვის	—150	„	„	„	—	„
ვ) სათამბაქო მეურნეობისათვის	—240	„	„	„	—	„
გ) ბრინჯის მეურნეობისათვის	—100	„	„	„	—	„
თ) სავენახე მეურნეობისათვის	—125	„	„	„	—	„

ი) მესაქონლეობის მეურნეობის-ვის— 1 მუდმივი მწყემსი ან 1 მწყემსის თანაშემწე.

შენიშვნა. უკეთუ მეურნეობას შრომაუნარიანი მამაკაცი არა აქვს (ქვრივის, ობლის, ინვალიდის, მოსწავლის მეურნეობა), ან უკეთუ შრომაუნარიანი მამაკაცი მძიმე ავადმყოფია ან წითელარმიაშია, სამთამადნო მუშაა ან გასულია სამშენებლო სამუშაოზე, ერთი მუდმივი მუშის ყოლა (ან მუშა-ძალის გამოყენება ისეთ ფარგლებში, რაც არ აღემატება ერთი მუდმივი მუშის სამუშაო დღეთა საშუალო წლიურ რიცხვს) და დაქირავებული მუშა-ძალის გამოყენება ამა მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში არ ჩაითვლება ისეთ ნიშნად, რომ ასეთი მეურნეობა ინდივიდუალური წესით დაიბეგროს.

III. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ მას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის სადღვები, ბურღულის საფქველი, ფეტვის საფქველი, ბოჭკოს საჩეჩელი, მატყლის საპენტი, სასრესი, კარტოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი საწარმო, ნორმეული ქარხანა ან სხვა რამ სამრეწველო საწარმო, რომლისთვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი, მათი შემოსავლის რაოდენობის მიუხედავად; ხოლო უკეთუ მეურნეობას აქვს წყლის თუ ქარის ძალით მოქმედი საწარმო, იგი ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ საწარმოს შემოსავალი წელიწადში აღემატება 150 მანეთს, ხოლო წისქვილის შემოსავალი 5 ცენტნერ მარცვალს წელიწადში, ფულადი გამოხატულებით კი 200 მანეთს, როდესაც ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული საერთო დასაბეგრი შემოსავალი მეურნეობისა (სოფლის მეურნეობის შემოსავალი და არასამიწათმოქმედო საშოვარი) 700 მანეთზე მეტია.

შენიშვნა. უკეთუ წყლის ან ქარის ძალით მომქმედი საწარმო რამდენსამე თანამონაწილეს ეკუთვნის და მათ სხვა რამ კულაკური ნიშანი არა აქვთ, ინდივიდუალური წესით მათ შორის დაიბეგრებიან მხოლოდ ისინი, რომელთა შემოსავალიც საწარმოს მათი კუთვნილი ნაწილისა ზემოაღნიშნულ ზღვრულ რაოდენობას აღემატება.

IV. უკეთუ მეურნეობას აქვს სამრეწველო საწარმო ან სარეწაო, რომელთა საშუალებითაც იგი ეწევა გარემო მოსახლეობის ექსპლოატაციას საწარმოს ან გაწყობილობის კაბალურ პირობებში იჯარად გაცემით, სამუშაოს სახლში გაცემით, ან ამ საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეულის შესყიდვით, ან და სხვისი ნედლეულის გადამუშავების საშუალებით, რისთვისაც იგი სასყიდელს ნატურად იღებს, ეს მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება.

V. უკეთუ მეურნეობა აქირავებს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას მექანიკური ძრავით ან ამ მანქანით ასრულებს სამუშაოს სხვა მეურნეობისათვის სასყიდლის აღებით, იგი კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება.

VI. მეურნეობა, რომელიც სხვა მეურნეობისათვის კაბალურ პირობებში სისტემატურად იჯარით სცემს ან იღებს ბაღს, ვენახს, სათიბს და სხვა სასოფლო-სამეურნეო სანახებს, კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება.

VII. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი სა-ვაჭრო ან სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით იჯარით იღებს ბაღს, ვენახს და სხვ.

მეურნეობა კულაკურ მეურნეობად არ ჩაითვლება: ა) უკეთუ იჯარით აღებული ბაღის, ვენახის და სხვ. ფართობი არ აღემატება უწყებულ სოფელში იმავე სანახების საშუალო ნორმას ერთ მეურნეობაზე, ან ბ) უკეთუ საწილადოდ იჯარით აღებული ბაღისა, ვენახისა და სხვ. დამუშავება სწარმოებს დაქირავებული შრომის გამოუყენებლად.

VIII. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი სისტემატურად აქირავებს საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად ცალკეულ მოწყობილ შენობებს, რაც არ არის აგებული მეურნეობის წევრთა საბინაო საჭიროებისათვის, იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ დაქირავებით მიღებული შემოსავალი აღემატება:

ა) 300 მანეთს წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერთო შემოსავალი წელიწადში 700 მანეთზე მეტია;

ბ) საკურორტო ადგილას და იმ ქალაქებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ ტარდება (მუხ. 48),—500 მანეთს წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერთო შემოსავალი 700 მანეთზე მეტია.

შენიშვნა. ინდივიდუალური წესით არ დაიბეგრება ის მუშა-მოსამსახურე, რომლის ძირითად მოსაქმეობას შეადგენს დაქირავებით მუშაობა, უკეთუ მას აქვს მცირე სოფლის მეურნეობა, როგორც დამხმარე წყარო შემოსავლისა, და ეწევა თავისი კუთვნილი შენობის ექსპლოატაციას იჯარით გაცემის საშუალებით. ეს მუშა-მოსამსახურე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება საერთო წესისამებრ, როგორც შრომითი საგლეხო მეურნეობა.

IX. უკეთუ მეურნეობის წევრი ეწევა ვაჭრობას, სავაჭრო შუამავლობას ან მევახშეობას (ე. ი. აძლევს სესხად ფულს ან პროდუქტებს კაბალური პირობებით), ან და უკეთუ ამ წევრს აქვს სხვა არაშრომითი შემოსავალი, მათ შორის რელიგიური კულტის მსახურებით მიღებული შემოსავალი, ეს მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, აღნიშნული წყაროებიდან მიღებული შემოსავლის რაოდენობის მიუხედავად.

92. ის პირი, რომელსაც აქვს ამა დადგენილების 91 მუხლით გათვალისწინებული კულაკური ნიშნები და ეწევა სოფლის მეურნეობას საქალაქო მიწაზე, სასოფლო სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება ინდივიდუალური წესისამებრ ყველა შემოსავლის მიხედვით (სოფლის მეურნეობის შემოსავალი და არასამიწათმოქმედო საშოვარი).

93. სასოფლო საბჭო შეადგენს იმ მეურნეობათა სიას, რომელნიც ინდივიდუალური წესით უნდა დაიბეგრონ, და განსაზღვრავს მათი შემოსავლის რაოდენობას.

სასოფლო საბჭოს მიერ შედგენილი სიები განხილულ უნდა იქნეს კოლმეურნეების და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა აქტივის კრებებზე.

ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიას და მათ შემოსავალს საბოლოოდ დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი; უკეთუ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ექვი დაებადება ამა თუ იმ მეურნეობის ინდივიდუალური დაბეგვრისა და აგრეთვე მისი შემოსავლის განსაზღვრის სისწორის თაობაზე, იგი მოახდენს მეურნეობის გამოკვლევას ადგილობრივად.

94. ინდივიდუალური წესით დასაბეგრ კულაკურ მეურნეობათა შემოსავლის განსაზღვრის დროს, აღრიცხულ და დაბეგრილ უნდა იქნეს შემოსავალი სოფლის მეურნეობის ყველა წყაროებისა, მათ რიცხვში ისეთი წყაროებისაც, რომლებიც შრომითს მეურნეობებში არ იბეგრებიან (მაგალითად, მეღორეობა, მეფრინველეობა და სხვ.), და ყველა სახის არასამიწათმოქმედო საშოვარისა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე გაყიდვით (ღორის, ფრინველის და სხვ.) მიღებული ყველა შემოსავალი და არასამიწათმოქმედო საშოვარი სავსებით ჩაირიცხება კულაკური მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში.

95. ინდივიდუალური წესით დასაბეგრ კულაკურ მეურნეობას, რომლის შემოსავალიც 1.000 მანეთს არ აღემატება, გადახდება მტკიცე განაკვეთით 350 მანეთის რაოდენობით ერთ მეურნეობაზე. კულაკური მეურნეობისათვის, რომლის შემოსავალიც 1.000 მანეთს აღემატება, გადასახადი გამოანგარიშება განაკვეთების შემდეგი ცხრილის მიხედვით:

შემოსავლის რაოდენობა	გასავლის რაოდენობა
1000 მ-ზე მეტი თანხის. . . . . 3000 მ-მდე	350 მ.+50 კ. შემ. თვით. მ-ზე 1000 მ. ზევით
3000 „ „ „ . . . . 6000 „	1350 მ.+60 კ. შემ. თვით. მ-ზე 3000 მ. ზევით
6000 „ „ „	3150 მ.+70კ. შემ. თვით. მ-ზე 6000 მ. ზევით

96. ინდივიდუალური წესით დაბეგრილი მეურნეობანი გადასახადს გადაიხდიან ერთ ვადაზე—1934 წლის სექტემბრის 1.

97. განკულაკებული მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების თანაბრად, ხოლო მას არ ეძლევა არავითარი შეღავათი, მათ რიცხვში ის მონაკლებიც, რაც გათვალისწინებულია შრომის უუნარობის გამო (მუხ. 62).

98. მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის წარსული მოქმედების გამო საარჩევნო უფლებას მოკლებული პირი (ყოფილი ჟანდარმი, პოლიციის მსახური და სხვ.), უკეთუ ამ მეურნეობას არა აქვს ნიშანი ინდივიდუალური წესით დაბეგვრისათვის, არ ეძლევა არავითარი შეღავათი გადასახადის სფეროში (მათ რიცხვში მონაკლებიც 62 მუხლის მიხედვით), ხოლო გადასახადის თანხა, გამოანგარიშებული საერთო საფუძველზე, მას ერთი-ორად გაუდიდდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲠᲘᲦᲘ VI.

ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ.

99. პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისწორით და დროულად ჩატარებისათვის სოფლად დაეკისრება სასოფლო-საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო იმ ქალაქ-ადგილებში, სადაც სოფლის მეურნეობის მწარმოებელი პირნი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან,—საქალაქო საბჭოებს.

100. სასოფლო საბჭოებთან ყველგან მოეწყობა სასოფლო საგადასახადო კომისიები.

სასოფლო-საგადასახადო კომისიის შედგენილობაში შედის: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე (თავმჯდომარედ) და წევრები: ა) სასოფლო-საბჭოს საფინანსო სექციის წარმომადგენელი; ბ) სასოფლო-საბჭოს სამიწათმოქმედო სექციის წარმომადგენელი; გ)მ ოწინავე კოლმეურნეობის წარმომადგენელი; დ) წითელარმიელთა ოჯახების წარმომადგენელი; ე) 2-3 დამკვრელი კოლმეურნე და ერთი მოწინავე ერთპიროვნული გლეხი სასოფლო-საბჭოს შედგენილობაში შემავალი სოფლიდან, არჩეულნი მოქალაქეთა საერთო კრებაზე; ვ) ადგილობრივი სარეწაო კოოპერატიული არტელის წარმომადგენელი (საშინამრეწველო რეწაობის განვითარების რაიონებში).

101. სასოფლო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) განიხილოს და წარადგინოს დასამტკიცებლად სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განსათავისუფლებელ მცირე-ძალოვან მეურნეობათა სიები;

ბ) წინასწარ განსაზღვროს თვითეული მეურნეობისათვის რაოდენობა არასამიწათმოქმედო შემოსავლისა;

გ) წინასწარ განსაზღვროს ერთპიროვნულ მეურნეობათა შემოსავალი, მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით ბაზარზე შექმნილ ფასად;

დ) წინასწარ განიხილოს კულაკურ მეურნეობათა სია და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ე) წინასწარ განიხილოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა საჩივარი და მათი თხოვნა შეღავათებისა და მონაკლების შესახებ.

102. იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, 101 მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს განახორციელებენ საქალაქო საბჭოები, რომლებთანაც მოეწყობა სათანადო საგადასახადო კომისიები.

103. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა სარაიონო საგადასახადო კომისიები.

სარაიონო საგადასახადო კომისიის შედგენილობაში შედიან: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე (თავმჯდომარედ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წევრები: ა) სარაიონო საფინანსო განყოფილების გამგე; ბ) სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე; გ) თითო წარმომადგენელი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებისა, მოსავლიანობის გამომრკვევი სარაიონთაშორისო კომისიისა, სარაიონო საგეგმო ორგანოსი და სარაიონო პროფკავშირთა საბჭოსი.

104. სარაიონო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) წინასწარ განიხილოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პროექტები დადგენილებისა შემოსავლის ცალკეული წყაროებისათვის შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

ბ) დაამტკიცოს იმ კოლმეურნეების და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების სიები, რომელნიც მცირეძალოვნობის გამო გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნენ;

გ) განიხილოს და დაამტკიცოს იმ ერთპიროვნულ მეურნეობათა სიები და შემოსავლის რაოდენობა, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ჰყიდიან ბაზარზე შექმნილ ფასად;

დ) განიხილოს გადამხდელთა საჩივრები;

ე) განიხილოს და დაამტკიცოს ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიები და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ვ) გამოარკვიოს გადამხდელთა არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობა და საბოლოოდ განსაზღვროს მთლად დასაბეგრი შემოსავლის თანხა იმ მეურნეობათათვის, რომელთაც არასამიწათმოქმედო საშოვარი აქვთ.

105. ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) ვალდებულია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს, მათი მოთხოვნისამებრ, ცნობა არასამიწათმოქმედო საშოვარის თანხების შესახებ, რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთ მიეცათ; ამასთანავე, მან უნდა აღნიშნოს თანხის მიმღების სახელი, მამის სახელი და გვარი, მისი საცხოვრებელი ადგილი (სოფელი, რაიონი) და აგრეთვე ის, თუ რისთვის მიეცათ თანხა გადამხდელთ.

106. კოლმეურნეობათა განცხადება და საჩივარი გადასახადის შესახებ შეიტანება სარაიონო საფინანსო განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს 3 დღისა გადასცეს ეს განცხადება და საჩივარი თავისი დასკვნით განსახილველად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

107. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა ყველა განცხადება და საჩივარი გადასახადის შესახებ შეიტანება სასოფლო საბჭოში, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს იგი განსახილველად სასოფლო საგადასახადო კომისიას.

სასოფლო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო საგადასახადო კომისიაში.

108. სარაიონო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუ-

ნებულთა სამმართველოებში—ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

109. განცხადებათა და საჩივართა შეტანისათვის დადგენილია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროების არასისწორით აღრიცხვის შესახებ და შემოსავლის განსაზღვრისა და გადასახადის გამოანგარიშების შესახებ, აგრეთვე განცხადება შეღავათის მიცემის შესახებ, გარდა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული შეღავათისა, შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა გადამხდელისათვის საგადასახადო უწყების ჩაბარების დღიდან;

ბ) განცხადება სტიქიური უბედურების გამო შეღავათის მიცემის შესახებ, უკეთუ სტიქიური უბედურება შემოსავლის წყაროების აღრიცხვამდე მოხდა, შეტანილ უნდა იქნეს აღრიცხვის დასაწყისს; დანარჩენ შემთხვევაში განცხადება შეიტანება 10 დღის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც სტიქიური უბედურება მოხდა.

110. განცხადება და საჩივარი განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა მათი შეტანის დღიდან.

111. განცხადებისა და საჩივრის შეტანა გადასახადის გადახდევინებას ვერ შეაჩერებს. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია გადამხდელის სასარგებლოდ, უმართებულად გადახდევინებული თანხა და ჩამორთმეული ქონება დაბრუნებულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაზე. უკეთუ ქონების დაბრუნება, მისი გაყიდვის გამო, შეუძლებელია, ანაზღაურებულ უნდა იქნეს ამ ქონების ღირებულება სრულად.

ᲗᲐᲠᲘ VII.

ᲒᲐᲓᲐᲛᲮᲓᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

112. უკეთუ გადამხდელი გადასახადის გადახდევინების ორგანოს შემოსავლის დასაბეგრ წყაროებს დაუმალავს, იგი დაჯარიმებულ უნდა იქნეს საადმინისტრაციო წესით ან მიიცეს პასუხისგებაში სასამართლო წესით. ჯარიმას დაადებს სასოფლო საბჭო. ჯარიმა შემოსავლის დასაბეგრი წყაროების გადამალვისათვის არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის თანხას უფრო მეტად, ვიდრე ორჯერ.

სასოფლო საბჭოს დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

113. კოლმეურნეობების გადასახადის გამოსაანგარიშებლად არასწორი ცნობების მიცემისათვის დამნაშავე პირს დაედება ჯარიმა 25 მანეთამდე.

114. უკეთუ კოლმეურნის მეურნეობა და ერთპიროვნული მეურნეობა გადასახადს კანონით დაწესებულ ვადაზე არ გადაიხდის, სასოფლო საბჭო ვალდებულია შეუფარდოს ასეთ მეურნეობას იძულებითი გადახდევინების ღონისძიება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების მიხედვით.

კერძოდ, იმ გადამხდელის ქონება, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, აიწერება და გაიყიდება, ხოლო ვალის გადაცილებისათვის მას გადახდება საურავი შემდეგი რაოდენობით: კოლექტიურ მეურნეობას—0,1%, კოლმეურნეს და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობას—0,2%, კულაკურ მეურნეობას—1% თვითეული ვადაგადაცილებული დღისათვის.

ᲗᲐᲠᲘ VIII.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ.

115. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული ყველა თანხა მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში შემდეგი წესების დაცვით:

ა) უწყებული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიღებული გადასახადის თანხის 20% მიიქცევა უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში;

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—გადასახადის მიღებული თანხის არანაკლებ 20%-ისა მიიქცევა სათანადო სასოფლო საბჭოების ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი ნაწილი—რესპუბლიკებისა და ოლქის საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტში;

გ) საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებში—სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული თანხიდან, გარდა 20%-ისა, რაც უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში მიიქცევა, 50% ჩაირიცხება საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტში, ხოლო 30%—ადგილობრივი ბიუჯეტების მოწესრიგების რესპუბლიკანურ ფონდში;

დ) საქალაქო მიწებიდან მიღებული გადასახადის თანხა სავსებით მიიქცევა საქალაქო ბიუჯეტში.

ᲗᲐᲠᲘ IX.

116. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის;

ბ) შეიმუშაოს და ერთი დეკადის ვადაზე წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი ინსტრუქციისა ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში გადასახადის ჩატარებისათვის.

117. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ჩაატარონ მასობრივი მუშაობა იმისათვის, რომ განუმარტონ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, კანონი და დეტალური ინსტრუქტაჟი გაუწიონ საბჭოთა ქვედა აპარატს აღნიშნული კანონის პრაქტიკული გატარების წესის შესახებ;

ბ) იხმარონ ღონისძიება იმისათვის, რომ სავსებით გამორკვეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ობიექტები და რომ გადასახადი თავის დროზე იქნეს შეტანილი;

გ) უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონით გათვალისწინებული შეღავათების თავის დროზე სავსებით მინიჭება გადამხდელთათვის;

დ) აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ყოველგვარ დამახინჯებასთან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ, ივნისის 15.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 139 №-ში 1934 წ. ივნისის 17.

შეცდომის გასწორება

კან. კრ.	გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
1934 წ. № 12	271	5	გადასინჯვის	გარდაქმნის
	272		გადასინჯვის	გარდაქმნის

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1934 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე 10 მან. || ნახევარი წლით—ივლისის 1-დან დეკემბრის 31-მდე 5 მან.

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1934 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 60 კაპ.

გამოსცემელი — საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველობა — 1934 წ. № 29 — პ/მ რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 2¼ ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტანბ. ნიშანი გადაეცა სტამბას 17/VI; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VII; ტირაჟი 1.700.

მთავლიტი ს.—№ 41 — საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. — შეკვ. № 996